სკოლის შენობა

ლ. ასათიანის ქ. № 28



თბილისი

2011

ლადო ასათიანის ქუჩა №28, საპროექტო ობიექტი, მაღალი ცოკოლის სართულზე აღმართული, სამსართულიანი, საკმაოდ მსხვილი მასშტაბისა და გამოკვეთილი არქიტექტურული სახის მქონე ნაგებობაა.



თბილისის ძეგლების ამჟამად მოქმედი 2007 წლის ნუსხის მიხედვით ლ. ასათიანის ქუჩა №28 (№3/181 ბრძანების დანართი №1, რიგით 159;) არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს.

ბოლო ხანს გამოქვეყნებული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ შენობის პროექტი 1905 წელს შეუდგენია ცნობილ თბილისელ არქიტექტორს ალექსანდრე ოზეროვს (Т. Герсамия, Застывшая музыка Александра Озерова, „Русский клуб", Тб., 2006, стр 42-45). ნაგებობის არქიტექტურა გოთური სტილიზაციის თვალსაჩინო ნიმუშია თბილისში.

შენობა იმთავითვე სასწაველო დაწესებულებისთვის იყო განკუთვნილი. თავიდან აქ განთავსებული იყო თბილისის მე-3 ქალთა გიმნაზია. შემდგომშიც, მთელი არსებობის მანძილზე, საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში შენობის ფუნქცია არ შეცვლილა, რაც ჩანს ერთი მთავარი მიზეზი გახდა პირვანდელი ფორმების მინიმალური ცვლილებისა.

საპროექტო შენობის ბუნებრივი და არქიტექტურული გარემოს ფაქტორები გამოკვეთს მის გამორჩეულ მხარეებს. ლადო ასათიანისა და შალვა დადიანისა ქუჩების გადაკვეთის ადგილის საკვანძო მდებარეობა ხაზს უსვამს ნაგებობის ურბანულ მნიშვნელობას. შეულესავი აგურის საფასადო სიბრტყეზე გამოყვანილი გოთური სტილის ელემენტების მკვეთრი ხაზები და დეკორატიული ფორმები შენობის გამომსახველ არქიტექტურულ სახეს აყალიბებს.



უკლებლივ ღირებული შენობებისგან შემდგარ ისტორიულად ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ გარემოში №28 ნაგებობა სრულიად განსხვავებული მხატვრული სახით გამოირჩევა და მრავალფეროვნება შეაქვს მასში.



ქუჩის გასწვრივ ერთმანეთთან მიჯრით განლაგებული საცხოვრებელი სახლების გაბმულ მწკრივში №28 შენობას ზემოთ აღნიშნულ მსხვილ მასშტაბსა, შეულესავი აგურის წითელ ფასადსა და გოთური სტილისთვის დამახასიათებელ მკაფიო ფორმებს გარდა, ხალვათი მდებარეობა – მეზობლად მდგარ შენობებს შორის დატოვებული მანძილებიც გამოყოფს. შენობას თანადროული და სტილურადაც მონათესავე ნაშენი ბოძებისა და ლითონის ნაჭედი დეკორატიული ელემენტებისგან შემდგარი ზღუდეც უკეთებს ეროგვარ იზოლირებას მიმდებარე განაშენიანებისგან.

ეს ადგილი – ლადო ასათიანისა და შალვა დადიანისა ქუჩების გადაკვეთა ერთგვარი საზღვარია თბილისის ორ უბანს – ქვემო კალასა და სოლოლაკს

შორის. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების ქალაქის შემომსაზღვრელი გალავანი, რომელიც სალალაკის ქედიდან ეშვებოდა შ. დადიანის ქუჩის ადგილას გადიოდა. მის გარეთ არსებული ტერიტორია სამეფო ოჯახის ბაღებს ეკავა, რომლის ადგილზე XIX საუკუნის შუა წლებიდან გაშენდა სოლოლაკი, თბილისის შეძლებულ მოქალაქეთა საცხოვრებელი უბანი. სოლოლაკში საცხოვრებელ სახლებს შორის გაბნეულია ცალკეული საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები, რომელთა შორის არის საპროექტო ნაგებობაც. მას, როგორც სოლოლაკის თვალსაჩინო ნაგებობათა შორის, ასევე, ზოგადად თბილისის ურბანული მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

არქიტექტურულ-მხატვრული და ისტორიული ღირებულების მქონე მომიჯნავე შენობები ძირითადად – ორსართულიანი. ლ. ასათიანისა და შ. დადიანის ქუჩების გაყოლებით საცხოვრებელი სახლი-ძეგლების რიგი ვითარდება, მათ შორისაა ლ. ასათიანის ქუჩაზე უშუალოდ საპროექტო შენობის ზემოთ და ქვემოთ მდგარი № 26 და 30 და საპირისპირო მხარეს ორი ქუჩის კუთხესთან მდგარი შენობა № 34/17.





ამ არქიტექტურულ გარემოში განსაკუთრებით საგულისხმოა შ. დადიანისა და ლ. ასათიანის ქუჩების შესაყართან მდებარე ძველთბილისური საცხოვრებელი სახლისა (№ 34/17) და მისგან დიაგონალურად მდგარი ახლებურად გააზრებული ნეოგოთური, ევროპული სტილის ლ. ასათიანის №28 საპროექტო შენობის მეზობლობა.

ის მხრივ, მრგვალი მოცულობის შემომყოლი მოხდენილი, დულაინიანი ტრადიციული თბილისური სახლი, რომელიც ისტორიული ას საზღვარს მონიშნავს და მეორეს მხრივ თავისი დროისთვის სიახლის ველი, მკვეთრად კონტრასტული ნაგებობა, რომელიც ახალ უბანს – ლაკს იწყებს (№28), მხატვრულ დამუშავებაში თავსებად ელემენტებს ავს და საფასადო ნეოგოთური თაღების ფორმებში შემოქმედებითად ამუშავებული თბილისური სახლის აივნის მოტივების გამოძახილი ნობა.

ასათიანის ქ. №28 შენობის მოკლე აღწერა

როექტო ნაგებობის გეგმას Г-ს ფორმა აქვს. მისი გრძელი მხარე ასათიანის ქუჩისკენ, ხოლო მოკლე მკლავი ეზოს სიღრმეში ვითარდება. დადიანის ქუჩაზე გადაადგილებისას საპროექტო შენობის ქვაბულური ფასადი თითქმის მთლიანად ავსებს ლ. ანის ქუჩის გახსნილ მონაკვეთს და შორიდანვე კარგად იკითხება. ი (მართკუთხა) აგურით ნაგები, მაღალი ცოკოლის სართულზე ნებული სამსართულიანი შენობის ფასადები შეულესავია. რატიული მორთულობის ელემენტები და პროფილები აგურის წყობით გამოყვანილი. გრძელ ფასადზე ასიმეტრიულად არის განთავსებული სართულის სიმაღლის ხუთ შეისრულ თაღში ჩასმული ლანცეტა ვრებით, ვარდულებითა და დეკორატიული შპილებით გაფორმებული ლიტი.



ცენტრში მოწყობილი შესასვლელი ცით არის გაფორმებული. რიზალიტის ნიც, ფასადის მოკლე ნაწილში სამივე ულზე შეწყვილებული ფანჯრებია ბილი, ხოლო მარჯვენა, გრძელ ცეში ერთმანეთისგან პილასტრისებრი ლი ნაშვერებით გამოყოფილი, ურებად ჩაღრმავებული მონაკვეთები სართულის არეში სამნაწილიანი უთხა ფანჯრებით არის გახსნილი.

შპილებია განაწილებული. ლ. ასათიანის ქუჩის დამრეცი პროფილის გამო შენობის ამ ნაწილში ცოკოლის სართული ნიადაგს ქვემოთ ექცევა, რის გამოც მთავარი და გვერდითი (დასავლეთის) ფასადის მხრიდან თხრილებია მოწყობილი, რომელიც უზრუნველყოფს ქვედა სართულში სასინათლო ღიობების გამაროვას, ნალექების მოცილებას და კედლების გამოშრობას. ამ სადრენაჟო თხრილების გასწვრივ შენობას თანადროული, ანალოგიური სტილური ელემენტებით გაფორმებული, ნაშენ ბოძებს შორის ჩართული ლითონის ნაჭედი მესერი შემოსდევს.



შენობის ეზოს ფასადიც შეულესავი აგურისაა, თუმცა სადაა და მოკლებულია დეკორატიულ გაფორმებას.

ინტერიერის დამუშავებაში არქიტექტურული სტილის ნიშნები ისევე მკაფიოდ იჩენს თავს, როგორც მთავარი ფასადის გაფორმებაში. ვესტიბიული და კიბის მარში საზეიმოდ არის გაფორმებული ფართოდ გახსნილი სამი შეისრული თაღით, მოაჯირის აჟურული ვარდულებით და კედლებზე ნალესობით გამოყვანილი შეისრული დეკორატიული თაღების მწკრივით.



მოაჯირის მსხვილფორმიანი ოთხყურა ვარდულები და კიბის კუთხეებში ჩართული გრეხილლილვებიანი ბოძები ვიზუალური დათვალიერებით ბეტონისგან ჩამოსხმული ხელოვნური ქვის ჩანს, რაც თავისი დროისთვის პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებაზე მეტყველებს ამ შენობაში. იგივე უნდა ითქვას ცალკეული სათავსების ჭერის მოწყობისთვის გამოყენებულ ლითონის კონსტრუქციებს შორის აგურით გადაყვანილ მცირე თაღოვან შევსებათა

შესახებაც. შიდა გაფორმების მხატვრული დატვირთულობით ვესტიბიულთან ერთად განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მთავარი ფასადის რიზალიტის არეში მოქცეული, ორი სართულის სიმაღლის საზეიმო დარბაზის გადაწყვეტა, სადაც ფასადის მხარეს არსებულ, მაღალ სასინათლო ღიობებსა, ხის დეკორატიულმოაჯირიან ლოჟებსა და კესონებიან ჭერთან ერთად აღსანიშნავია ყოველი დეტალის, მათ შორის ლითონის აჟურული სავენტილაციო ფარების დეკორატიული გაფორმება.





შენობის ზედა სართულებთან დამაკავშირებელი კიბეების მოაჯირები ლითონისაა და აქ გამოყენებულ დეკორატიულ მოტივშიც დაცულია სტილი.

შენობის ფიზიკური მდგომარეობისა და გადაკეთებების ზოგადი დახასიათება

მიუხედავად შთამბეჭდავი ასაკისა შენობის თავდაპირველი გადაწყვეტა ინიმალურადაა შელახული. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ღიობს, სადაც ფალო-პლასტმასაა ჩასმული, ღიობებს ძირითადად ხის, თავდაპირველი არჩოები აქვს შენარჩუნებული. მიუხედავად მცირე გადაკეთებებისა და ტერიერში დამატებული ტიხარებისა, ნაგებობის გეგმარებითი და სივრცითი რუქტურა არ არის დარღვეული.

ვე ჩაშენებულია ეზოს მხრიდან არსებული შეღრმავება შენობის ჩრდილოსაველეთის ნაწილში, რის შედეგად შექმნილია დამატებითი ფართები.

[illegible]ის ამავე მხარეს შეინიშნება ბზარები კედლებში და მდგომარეობაც [illegible]ებით დამძიმებულია.

[illegible]ოვის თავდაპირველი – საგანმანათლებლო ფუნქციის შენარჩუნება და [illegible]ს საჭირო საწყისი ეტაპის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოს [illegible]ცველება, რომლის დროსაც გათვალისწინებულია დაზიანებული [illegible]ერი ნაწილების მოწესრიგება და ნაწილობრივი აღდგენა, დადებითად [illegible]ებს შენობის ფიზიკურ სტაბილიზაციაზე და მისი მხატვრული [illegible]ის აღდგენაზე.

ხელოვნებათმცოდნე მანანა სურამელაშვილი

აგვისტო, 2011